

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით (განცხადების ფორმა იხ. დანართში 1);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი;
3. ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);
4. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან შესაბამისი უსდ-ის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ;
5. მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
6. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
7. უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დოკუმენტი (მოთხოვნა კონკრეტდება სადოქტორო პროგრამის დაშვების წინაპირობით (იხ. დანართი 4);
8. კვლევითი პროექტი კვლევის საკითხის, მიზნისა და მიმართულების/კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ;
9. იმ შემთხვევაში თუ პირს უმაღლესი განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, ვალდებულია წარმოადგინოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.
10. საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ.
11. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში – სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აღნიშნული მასალების დედნები და მათი ასლები.
12. მინდობილი პირის მიერ საბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

13. ყველა ზემოთაღნიშნული დოკუმენტი დოქტორანტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში ნაბეჭდი სახით, სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დამატებითი ინფორმაცია

- უცხო ენის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 51 ქულას;
- საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აპლიკანტი ვალდებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გააფორმოს აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულებები. საფინანსო ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის - 4000 ლარის მინიმუმ ნახევრის (2000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია;
- ის პირები, რომლებიც ინფორმირებული იყვნენ საჭიროების შემთხვევაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებაში წარმოედგინათ მაგისტრის დიპლომის აღიარების დოკუმენტი, ან ცნობა მაგისტრის კვალიფიკაციასთან გათანაბრების შესახებ და არ წარმოადგენენ, მაშინ ბრძანება მათი ჩარიცხვის ნაწილში ძალადაკარგულად იქნება ცნობილი. ასევე იმ პირებმა რომლებმაც წარმოადგინეს ცნობა მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მაგისტრის დიპლომი და მისი ასლი.